

**საქართველოს მთავრობის  
დადგენილება  
N 188 2009 წლის 22 ოქტომბერი ქ. თბილისი**

**სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი  
ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი  
სახელმწიფო ორგანოების სიის განსაზღვრის შესახებ**

მუხლი 1. “წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის (10.08.09., N1586) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის “ა.ბ” ქვეპუნქტისა და “წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის 11<sup>4</sup> და 11<sup>7</sup> მუხლების შესაბამისად განისაზღვროს “სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სია” (დანართის შესაბამისად), მათ მიერ რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტების აღიარების მიზნით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

*ნიკა გილაური*

საქართველოს მთავრობის  
2009 წლის 22 ოქტომბრის  
N 188 დადგენილების

დანართი

**სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი  
ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი  
სახელმწიფო ორგანოების სია**

1. სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანო \_ ევროპის წამლების სააგენტო (EMEA - European Medicines Agency).

2. შემდეგი ქვეყნების ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოები:

- ა) ამერიკის შეერთებული შტატები;
- ბ) ავსტრალიის თანამეგობრობა;
- გ) ავსტრიის რესპუბლიკა;

- დ) ახალი ზელანდია;
- ე) ბელგიის სამეფო;
- ვ) ბულგარეთის რესპუბლიკა;
- ზ) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა;
- თ) დანიის სამეფო;
- ი) დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო;
- კ) ესტონეთის რესპუბლიკა;
- ლ) ესპანეთის სამეფო;
- მ) ირლანდია;
- ნ) იტალიის რესპუბლიკა;
- ო) იაპონია;
- პ) ისლანდიის რესპუბლიკა;
- პ<sup>1</sup>) ისრაელის სახელმწიფო; (30.07.2013 N 195)
- ჟ) კანადა;
- რ) კვიპროსის რესპუბლიკა;
- ს) კორეის რესპუბლიკა;
- ტ) ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო;
- უ) ლატვიის რესპუბლიკა;
- ფ) ლიტვის რესპუბლიკა;
- ქ) მალტის რესპუბლიკა;
- ღ) ნორვეგიის სამეფო;
- ყ) ნიდერლანდების სამეფო;
- შ) პორტუგალიის რესპუბლიკა;
- ჩ) პოლონეთის რესპუბლიკა;
- ც) რუმინეთი;
- ძ) საფრანგეთის რესპუბლიკა;
- წ) საბერძნეთის რესპუბლიკა;
- ჭ) სლოვენის რესპუბლიკა;
- ხ) სლოვაკეთის რესპუბლიკა;
- ჯ) უნგრეთის რესპუბლიკა;
- ჰ) ფინეთის რესპუბლიკა;
- ჰ<sup>1</sup>) შვედეთის სამეფო;
- ჰ<sup>2</sup>) შვეიცარიის კონფედერაცია;
- ჰ<sup>3</sup>) ჩეხეთის რესპუბლიკა.